



ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 4/10

2023 წლის 2 ჩახტი

ქალაქი ფოთი

„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2018 წლის 14 აგვისტოს №17/52 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულო აღნიშნავს, რომ №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიის 2023 წლის 23 თებერვლის №70/5 წერილის საფუძველზე, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის, 2023 წლის 24 თებერვლის № 842.422305514 ბრძანების შესაბამისად, №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები (არასაცხოვრებელი ფართები), არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის.

ამდენად, შესაბამისი ცვლილება უნდა შევიდეს „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2018 წლის 14 აგვისტოს № 17/52 განკარგულებაში და ამოღებულ უნდა იქნეს განკარგულების დანართი №2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

მუხლი 1.

შევიდეს ცვლილება „საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, 2018 წლის 14 აგვისტოს №17/52 განკარგულებაში და ამოღებულ იქნეს განკარგულების დანართი № 2.

მუხლი 2.

ცნობად იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 45-ე მუხლის მე-8 პუნქტის, საქართველოს ორგანული კანონის

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 24 თებერვლის № 842.422305514 ბრძანების შესაბამისად, №70 ფოთის საოლქო საარჩევნო კომისიას უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობაში გადაეცა ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები (არასაცხოვრებელი ფართები), არჩევნების მომზადებისა და ჩატარებისთვის.

მუხლი 3.

„საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ შესაბამისად, ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წინასაარჩევნო კამპანიის (აგიტაციის) ჩატარებისათვის გასატარებელი ღონისძიებების შესახებ“ ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 14 აგვისტოს № 17/52 განკარგულების მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „6. საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის“ 93-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, უკანონოდ ჩამოხსნილი, ჩამოხეული, დაფარული ან დაზიანებული საარჩევნო პლაკატების ამ კანონის მე-80 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმები შეადგინოს ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ უფლებამოსილმა პირმა/პირებმა.“.

მუხლი 4.

განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ფოთის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქალაქი ფოთი, დავით აღმაშენებლის ქუჩა № 3).

მუხლი 5.

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე, მისი მოქმედება გავრცელდეს, 2023 წლის 24 თებერვლიდან წარმოშობილ სამართლებრივ ურთიერთობებზე.

საკრებულოს თავმჯდომარე



ალექსანდრე ტყეშუჩავა